

საქართველოს საზღვაო საქმორი ევროპულ სტანდარტებს უახლოვდება



#EU4Georgia

ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს საზღვაო სფეროს განვითარებას სხვადასხვა პროექტებისა და პროგრამების საშუალებით, რომლებიც ეხება მთელ რიგ საკითხებს, მათ შორის სანავიგაციო უსაფრთხოების გაძლიერებას, საზღვაო გარემოს დაცვას, და ასევე, განათლებისა და სწავლების თანამედროვე სტანდარტების დანერგვას საერთაშორისო აღიარებისთვის. ყველა ეს რეფორმა მიზნად ისახავს დასაქმების ხელშეწყობას, გარემოს დაცვასა და საქართველოს მხარდაჭერას მდგრადი საზღვაო სატრანსპორტო სისტემის დანერგვაში, რომელიც დაეხმარება ქვეყანას ჩამოყალიბდეს რეგიონის წამყვან სატრანსპორტო კვანძად.

ზღვა საქართველოს მომავალი: განათლება და დასაქმება



“ რადიკალურად შეცვლილი და გაუმჯობესებულია ჩვენი განათლების სისტემა, რომელიც მთლიანად მოერგო ევროპულ სტანდარტებს. ჩვენს მიერ გაცემული დიპლომი და კომპეტენციის დამადასტურებელი საბუთები აღიარებულია არა მხოლოდ ევროპის ქვეყნების, არამედ მსოფლიოში წამყვანი საზღვაო ინდუსტრიის მქონე ქვეყნების მიერ (20-ზე მეტი). დღეს გვაქვს უამრავი შესაძლებლობა, რომ გავიდეთ ექსპორტზე და ვიმუშაოთ ისეთ კომპანიებში, რომლებიც პრესტიჟული და მაღალანაზღაურებადია“

ჯაბა მუთიძე,

კაპიტანი

- ევროკავშირის მხარდაჭერით საქართველოს საზღვაო სექტორში განხორციელდა სხვადასხვა სტრუქტურული, საკანონმდებლო და საგანმანათლებლო რეფორმები.
- ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებული რეფორმების შედეგად, მსოფლიოს 54 ქვეყანა ცნობს საქართველოს მიერ გაცემულ მემბლგურის სერტიფიკატებს, მათ შორის არის ევროკავშირის 20-მდე წევრი ქვეყანა.
- შედეგად, 2015 წელთან შედარებით 40%-ით არის გაზრდილი საქართველოს მემბლგურების დასაქმება ევროკავშირის წევრი ქვეყნების დროშის ქვეშ მცურავ გემებზე (ან ევროპული გემთმფლობელების გემებზე), რაც უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოების დაცვით, სოციალური დაცვის გარანტიებითა და საზღვაო ფლოტის თანამედროვე სტანდარტებით.
- საქართველოს მემბლგურების სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიური შენატანი დაახლოებით ნახევარ მილიარდ ლარამდე გაიზარდა.

საქართველოს საზღვაო სფერო ევროპულ სტანდარტებს უახლოვდება: ინსტიტუციური და საკანონმდებლო რეფორმები



“ ამ მიმართულებით გატარებული რეფორმები მოწმობენ, რომ ვვითარდებით. ევროკავშირის მხარდაჭერით 2021 წელს ქვეყანას ექნება საზღვაო ტრანსპორტის სტრატეგია. ეს საშუალებას მოგვცემს მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოს ჰქონდეს სტრატეგია, რომელიც მისცემს შესაძლებლობას ჩამოყალიბდეს წამყვან საზღვაო ქვეყნად“

თამარ იოსელიანი,

საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი

- ევროკავშირის მხარდაჭერით, პირველად საქართველოს ისტორიაში 2021 წელს ქვეყანას ექნება საზღვაო ტრანსპორტის სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს საზღვაო სტრატეგიული განვითარების მიზნებსა და მათი განხორციელების გზებს.
- ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების შესაბამისი 22 დირექტივიდან და რეგულაციიდან 16 უკვე დანერგილია და ხელს უწყობს სექტორის უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, განათლებისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას.
- საზღვაო ინდუსტრია ქვეყანაში სწრაფად ვითარდება. 2019 წელს საქართველოს ნავსადგურებში 43%-ით გაიზარდა საკონტეინერო ტვირთბრუნვა.
- უსაფრთხო, დაცული და ეფექტური საერთაშორისო გადაზიდვების ინდუსტრია ქვეყნის სამომავლო მდგრადი ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი კომპონენტია; საქონლის აბსოლუტური უმრავლესობა საზღვაო გზით იმპორტირდება

სუფთა ზღვა უკეთესი გარემოსთვის



“ საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში არის მონივნავ ქვეყანა, სადაც ჩატარდა ევროპული სტანდარტების საერთაშორისო კვლევები როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით. ევროკავშირის პროექტის ფარგლებში ქვეყანას გადმოეცა თანამედროვე ლაბორატორიული აღჭურვილობა, რაც საშუალებას გვაძლევს მომავალშიც გავაგრძელოთ შავი ზღვის სანაპირო ზოლის კვლევები. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ მთავრობასა და საზოგადოებას გავაცნოთ აღნიშნული კვლევების შედეგები, რათა შემდგომში გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები, რაც გააუმჯობესებს შავი ზღვის სანაპირო ზოლის ეკოლოგიურ პირობებს“

ნინო თანდილაშვილი,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე

- ევროკავშირი ხელს უწყობს საზღვაო გარემოს ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას.
- ევროკავშირი უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნიკურ აღჭურვილობასა და საქართველოს ექსპერტების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობას.
- ტარდება მდინარეებისა და შავი ზღვის სანაპირო ზოლის გარემოს კვლევები და ანალიზი.

#MaritimeGeorgia